თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6155926

ნომერი: AR1925749

თარიღი : 30.09.2022

გაცემის თარიღი : 07.10.2022

გაცნობის თარიღი : 10.10.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 ; ქალაქი თბილისი , საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V , ქუჩა სანდრო ეულის , N 5 , (ნაკვეთი 07/029);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფანჯაკიძე პ/ნ 01023003478
- მედეა ჩახავას ქ.4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 30 სექტემბერს №AR1925749 განცხადებით მომართა დავით ფანჯაკიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საერთო ფართობთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებით №01.14.05.007.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 6 ივლისიდან 2024 წლის 6 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 8 აგვისტოს №6072541 და 2022 წლის 29 აგვისტოს №6101582 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 3989.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1930.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად 98.2 კვ.მ. და საერთო ფართობად 12813.0 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2022 წლის 27 ივლისის №AR1914867 და 2022 წლის 16 აგვისტოს №AR1918355 განცხადებებზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ითხოვს საერთო ფართობად 12813 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საერთო ფართობთან დაკავშირებით სამსახურის 2022 წლის 29 აგვისტოს №6101582 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში და დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 12813 კვ.მ.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 29 აგვისტოს №6101582 ბრძანებით ერთხელ უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 12813 კვ.მ., სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №6023027 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის ხელმეორედ გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.